


დანართი  
(საკითხი 8.1)



### ევროპის საბჭოს კონვენცია სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციების შესახებ

(მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ, მინისტრთა მოადგილეების 1205-ე შეხვედრაზე, 2014 წლის 9 ივლისს)

#### პრეამბულა

ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები და წინამდებარე კონვენციის სხვა ხელმომწერი მხარეები,

ითვალისწინებენ რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანს წარმოადგენს მის წევრ სახელმწიფოებს შორის უფრო დიდი ერთიანობის მიღწევა;

ითვალისწინებენ რა, ევროპის საბჭოს სახელმწიფო და მთავრობის მეთაურთა მესამე სამიტის სამოქმედო გეგმას (ვარშავა, 2005 წლის 16-17 მაისი), რომელიც მხარს უჭერს ევროპის საბჭოს საქმიანობის უწყვეტობას და წარმოადგენს მიმთითებლურ დოკუმენტს სპორტის სფეროში;

ითვალისწინებენ რა, რომ სპორტის განვითარებისათვის აუცილებელია ერთიანი ევროპული და მსოფლიო ფარგლების დაწესება, რომელიც დაეფუძნება პლურალისტური დემოკრატიის ცნებას, კანონის უზენაესობას, ადამიანის უფლებებსა და სპორტული ეთიკის ნორმებს;

აცნობიერებენ რა, რომ მსოფლიოს თითოეულ ქვეყანას და სპორტის ყველა სახეობას შესაძლოა ზიანი მიადგეს სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციების შედეგად და აღნიშნავენ რა, რომ ეს მოვლენა, რომელიც წარმოადგენს სპორტული მთლიანობის კუთხით გლობალურ საფრთხეს, საჭიროებს საყოველთაო რეაგირებას არა მხოლოდ ევროპის საბჭოს წევრი, არამედ არაწევრი ქვეყნების მხრიდანაც;

გამოხატავენ რა, შემფოთებას სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციაში კრიმინალური ქმედებების, კერძოდ კი ორგანიზებული დანაშაულის ჩართულობის კუთხით და მისი ტრანსნაციონალური ხასიათის მიმართ;

ითვალისწინებენ რა, „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციას“ (1950, ETS No. 5) და მის ოქმებს, „სპორტულ შეჯიბრებებზე და განსაკუთრებით ფეხბურთის მატჩებზე მაყურებლის მიერ გამოვლენილი ძალადობისა და არასათანადო ქცევის შესახებ ევროპის კონვენციას“ (1985, ETS No. 120), „დოპინგსაწინააღმდეგო კონვენციას“ (1989, ETS No. 135), „კორუფციაზე სისხლის სამართლის კონვენციას“ (1999, ETS No. 173) და „ევროპის საბჭოს კონვენციას დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ“ (2005, CETS No. 198);

ითვალისწინებენ რა, „გაეროს კონვენციას ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ“ (2000) და მის ოქმებს;

ასევე ითვალისწინებენ რა, „გაეროს კონვენციას კორუფციის წინააღმდეგ“ (2003);

ითვალისწინებენ რა, გაუმართლებელი შეფერხების გარეშე, თავიანთი იურისდიქციის ფარგლებში, სამართალდარღვევების ეფექტურ გამოძიებას;

ითვალისწინებენ რა, კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ინტერპოლი) უმთავრეს როლს, რომელიც მას მიუძღვის როგორც სასამართლო, ისე სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობის კუთხით;

ხაზს უსვამენ რა, სპორტული ორგანიზაციების პასუხისმგებლობას, აღმოაჩინონ და გამოიყენონ შესაბამისი სანქციები სპორტულ შეჯიბრებებზე მანიპულაციის კუთხით, რომელიც ხორციელდება მათი უფლებამოსილების ქვეშ მყოფი პირების მიერ;

აღიარებენ რა, სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგად მიღწეულ შედეგებს;

დარწმუნებულნი არიან რა, რომ სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციის წინააღმდეგ ბრძოლა მოითხოვს ეროვნული და საერთაშორისო თანამშრომლობის მზარდ, სწრაფ, მდგრად და სათანადო ფუნქციონირებას;

ითვალისწინებენ რა, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციებს წევრი სახელმწიფოებისადმი, რეკომენდაციას №R(92) 13 (გადასინჯული ვერსია) ევროპის სპორტის გადასინჯული ქარტიის შესახებ; მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას (2010)9 სპორტული ეთიკის გადასინჯული კოდექსის შესახებ; რეკომენდაციას (2005)8 სპორტის სფეროში კარგი მმართველობის პრინციპების შესახებ და მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას (2011)10 სპორტული მთლიანობის ხელშეწყობის შესახებ, იმ მიზნით, რომ მოხდეს მანიპულაციის შედეგებთან, კერძოდ მოლაპარაკებელი მატჩების წინააღმდეგ ბრძოლა;

მუშაობისა და შედეგების გათვალისწინებით, რომელიც განხორციელდა შემდეგ კონფერენციებზე:

- სპორტზე პასუხისმგებელ მინისტრთა ევროპის საბჭოს მე-11 კონფერენცია, რომელიც ჩატარდა ათენში 2008 წლის 11 და 12 დეკემბერს;
- სპორტზე პასუხისმგებელ მინისტრთა ევროპის საბჭოს მე-18 არაფორმალური კონფერენცია (2010 წლის 22 სექტემბერი), მანიპულაციის შედეგებთან (მოლაპარაკებელი მატჩები) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ;
- სპორტზე პასუხისმგებელ მინისტრთა ევროპის საბჭოს მე-12 კონფერენცია (ბელგრადი, 2012 წლის 15 მარტი), სპორტული შედეგების მანიპულაციის წინააღმდეგ ახალი, საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტის შემუშავებასთან დაკავშირებით;
- ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სფეროში მინისტრთა და უმაღლესი თანამდებობის პირთა იუნესკოს მე-5 საერთაშორისო კონფერენცია (MINEPS V);

დარწმუნებულნი არიან რა, რომ ურთიერთპატივისცემისა და ნდობის საფუძველზე, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე დიალოგი და თანამშრომლობა საჯარო ხელისუფლებას, სპორტულ ორგანიზაციებს, შეჯიბრის ორგანიზატორებსა და ფსონის დამდებ ოპერატორებს შორის, მნიშვნელოვანია სპორტულ შეჯიბრებებში მანიპულაციების შედეგად არსებულ გამოწვევებთან მიმართებით საერთო ეფექტური მიდგომის განსაზღვრისთვის;

აღიარებენ რა, რომ სპორტს, სამართლიანი და თანაბარი კონკურენციის საფუძველზე, გააჩნია არაპროგნოზირებადი ხასიათი და ძალისმიერი გზით და ეფექტურად გამობს არაეთიკურ პრაქტიკას და ქმედებას;

ხაზს უსვამენ რა თავიანთ რწმენას, რომ კარგი მმართველობის პრინციპების და სპორტული ეთიკის ნორმების თანმიმდევრული გამოყენება წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს, სპორტის სფეროში კორუფციის, სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციისა და სხვა კანონდარღვევების აღმოფხვრის კუთხით;

აღიარებენ რა, რომ სპორტის ავტონომიის პრინციპის თანახმად, სპორტული ორგანიზაციები პასუხისმგებელნი არიან სპორტულ საქმიანობაზე და გააჩნიათ თვითმარეგულირებელი და დისციპლინური პასუხისმგებლობა სპორტულ შეჯიბრებებში მანიპულაციასთან ბრძოლის წინააღმდეგ და როგორც საჯარო დაწესებულებებმა, საჭიროების შემთხვევაში, უნდა დაიცვან სპორტის მთლიანობა;

ცნობენ რა, რომ სპორტული ფსონები, კერძოდ კი უკანონო სპორტული ფსონების განვითარება, ზრდის აღნიშნული მანიპულაციის რისკებს;

ითვალისწინებენ რა, რომ სპორტული შეჯიბრებების მანიპულაცია შესაძლოა უკავშირდებოდეს ან არ უკავშირდებოდეს სპორტულ ფსონებს და უკავშირდებოდეს ან არ უკავშირდებოდეს სისხლის სამართლის დანაშაულს და რომ აღნიშნული უნდა განიხილებოდეს ყველა შემთხვევაში;


აღნიშნავენ რა, მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის ფარგლებში იმ დისკრეციულ უფლებამოსილებას, რომელსაც სახელმწიფოები იყენებენ სპორტული ფსონების შესახებ პოლიტიკის შემუშავებაში;

შეთანხმდნენ შემდეგზე:

თავი I - მიზანი, სახელმძღვანელო პრინციპები, განმარტებები

მუხლი 1 - მიზანი და ძირითადი ამოცანები

1. წინამდებარე კონვენციის მიზანს წარმოადგენს სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციის წინააღმდეგ ბრძოლა, რათა მოხდეს სპორტის ერთიანობისა და სპორტული ეთიკის ნორმების დაცვა, სპორტის ავტონომიის პრინციპის თანახმად.
2. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, წინამდებარე კონვენციის ძირითად ამოცანებს წარმოადგენს:

- 
- a. ეროვნულ და საერთაშორისო სპორტულ შეჯიბრებებზე, ეროვნული ან ტრანსნაციონალური მანიპულაციის აღკვეთა, გამოვლენა და მის მიმართ გარკვეული სანქციების გამოყენება;
  - b. სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციის წინააღმდეგ ეროვნული და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა შესაბამის საჯარო ხელისუფლებასა და იმ ორგანიზაციებს შორის, რომლებიც ჩართულნი არიან სპორტსა და სპორტის აზარტულ სახეობებში.

## მუხლი 2 - სახელმძღვანელო პრინციპები

1. სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციის წინააღმდეგ ბრძოლამ უნდა უზრუნველყოს, შემდეგი პრინციპების დაცვა, მათ შორის:
  - a. ადამიანის უფლებები;
  - b. კანონიერება;
  - c. პროპორციულობა;
  - d. პირადი ცხოვრებისა და პერსონალური მონაცემების დაცვა.

## მუხლი 3 - განმარტებები

წინამდებარე კონვენციის მიზნებისთვის:

1. „სპორტული შეჯიბრი“ ნიშნავს ნებისმიერ სპორტულ ღონისძიებას, რომელიც ორგანიზებულია სპორტული ორგანიზაციის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, განსაზღვრულია კონვენციის საფუძველზე შექმნილი კომიტეტის მიერ, 31.2 მუხლის თანახმად და აღიარებულია საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციის მიერ ან საჭიროების შემთხვევაში, სხვა კომპეტენტური სპორტული ორგანიზაციის მიერ.
2. „სპორტული ორგანიზაცია“ ნიშნავს ორგანიზაციას, რომელიც ხელმძღვანელობს სპორტს ან სპორტის რომელიმე სახეობას და რომელიც შეყვანილია კონვენციის საფუძველზე შექმნილი კომიტეტის მიერ მიღებულ ჩამონათვალში, 31.2 მუხლის თანახმად, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, კონტინენტურ და ეროვნულ შვილობილ ორგანიზაციებს.
3. „შეჯიბრის ორგანიზატორი“ ნიშნავს სპორტულ ორგანიზაციას ან ნებისმიერ პირს, მისი სამართლებრივი ფორმის მიუხედავად, რომელიც ორგანიზებას უწევს სპორტულ შეჯიბრებს.
4. „სპორტული შეჯიბრებების მანიპულაცია“ ნიშნავს განზრახ მზადებას, ქმედებას ან უმოქმედობას, რომელიც მიზნად ისახავს სპორტული შედეგის ან მსვლელობის არაჯეროვან შეცვლას, რათა სრულიად ან ნაწილობრივ გამოირიცხოს ზემოაღნიშნული სპორტული შეჯიბრის არაპროგნოზირებადი ხასიათი და მოპოვებულ იქნას არამართლზომიერი უპირატესობა საკუთარი თავის ან სხვათა სასარგებლოდ.
5. „სპორტული ფსონი“ ნიშნავს ფულადი ღირებულების სანაძლეოს, ფულადი ღირებულების პრიზის მიღების მიზნით, რომელიც უკავშირდება სპორტული შეჯიბრების მომავალ და გაურკვეველ შედეგებს, კერძოდ:

- a. „უკანონო სპორტული ფსონი“ ნიშნავს ნებისმიერ სპორტულ აზარტულ საქმიანობას, რომლის ტიპი ან ოპერატორი არ არის ნებადართული იმ მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის თანახმად, რომლის იურსდიქციაც ვრცელდება ტერიტორიაზე, სადაც მომხმარებელი იმყოფება.
- b. „არარეგულარული სპორტული ფსონი“ ნიშნავს რაიმე სპორტულ აზარტულ საქმიანობას, რომელიც შეუსაბამოა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით ჩვეულებრივ ან მოსალოდნელ საბაზრო შედეგებთან, ან უკავშირდება სპორტული შეჯიბრის ფსონებს, რომელსაც გააჩნია უჩვეულო მახასიათებლები;
- c. „საეჭვო სპორტული ფსონი“ ნიშნავს რაიმე სპორტულ აზარტულ საქმიანობას, რომელიც უტყუარი და თანმიმდევრული მტკიცებულების თანახმად, უკავშირდება სპორტული შეჯიბრის მანიპულაციას.
6. „შეჯიბრის მონაწილე“ წარმოადგენს ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც მიეკუთვნება ერთ-ერთ შემდეგ კატეგორიას:
- a. „სპორტსმენი“ ნიშნავს ნებისმიერ პირს ან პირთა ჯგუფს, რომელიც მონაწილეობას იღებს სპორტულ შეჯიბრებებში;
- b. „სპორტსმენის დამხმარე პერსონალი“ ნიშნავს მწვრთნელს, ტრენერს, მენეჯერს, აგენტს, თანაგუნდელს, ოფიციალურ პირს, სამედიცინო ან სამაშველო პერსონალს, რომლებიც მუშაობენ სპორტსმენებთან ან მკურნალობენ მათ, ვინც მონაწილეობს ან ვარჯიშობს სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობის მიღების მიზნით და ასევე, ნიშნავს ყველა სხვა პირს, რომლებიც მუშაობენ სპორტსმენებთან.
- c. „ოფიციალური პირი“ ნიშნავს იმ დაწესებულების მფლობელს, აქციონერს, აღმასრულებელს ან თანამშრომელს, რომელიც ორგანიზებას უწევს და ხელს უწყობს სპორტული შეჯიბრებების განვითარებას, ასევე მსაჯებს, ჟიურის წევრებს და სხვა აკრედიტებულ პირებს. აღნიშნული ტერმინი ასევე მოიცავს საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციების, ან საჭიროების შემთხვევაში, სხვა იმ სპორტული ორგანიზაციის აღმასრულებელ პირებსა და თანამშრომლებს, რომელიც ცნობს შეჯიბრებას.
7. “შიდა ინფორმაცია“ გულისხმობს სპორტული შეჯიბრებების შესახებ ინფორმაციას, რომელსაც პირი ფლობს მისი სპორტთან ან შეჯიბრებასთან დაკავშირებული თანამდებობიდან გამომდინარე. შიდად არ ჩაითვლება ინფორმაცია, რომელიც უკვე გამოქვეყნებულია ან საყოველთაოდ ცნობილია, მარტივად ხელმისაწვდომია საზოგადოების დაინტერესებული პირებისთვის ან გამჟღავნებულია აღნიშნულ შეჯიბრთან დაკავშირებული კანონისა და კანონქვემდებარე აქტების თანახმად.

## თავი II - პრევენცია, თანამშრომლობა და სხვა ღონისძიებები

### მუხლი 4 - შიდასახელმწიფოებრივი კოორდინაცია

1. თითოეული მხარე კოორდინირებას გაუწევს ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების პოლიტიკასა და ქმედებებს სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით.
2. თითოეული მხარე, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ხელს შეუწყობს სპორტულ ორგანიზაციებს, შეჯიბრის ორგანიზატორებსა და ფსონის დამდებ ოპერატორებს, ითანამშრომლონ სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციის

წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით და საჭიროების შემთხვევაში, დაავალებს მათ, განახორციელონ წინამდებარე კონვენციის შესაბამისი დებულებები.

**მუხლი 5 - რისკების შეფასება და მართვა**


1. თითოეული მხარე, საჭიროების შემთხვევაში, სპორტულ ორგანიზაციებთან, ფსონის დამდებ ოპერატორებთან, შეჯიბრის ორგანიზატორებთან და სხვა შესაბამის ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, განსაზღვრავს, გააანალიზებს და შეაფასებს რისკებს, რომელიც უკავშირდება სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციას.
2. თითოეული მხარე ხელს შეუწყობს სპორტულ ორგანიზაციებს, ფსონის დამდებ ოპერატორებს, შეჯიბრის ორგანიზატორებსა და სხვა შესაბამის ორგანიზაციებს ჩამოაყალიბონ პროცედურები და წესები, რათა მოხდეს სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციის წინააღმდეგ ბრძოლა. საჭიროების შემთხვევაში, მათ უნდა მიიღონ სამართლებრივი და სხვა ზომები, ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად.

**მუხლი 6 - განათლებისა და ინფორმირებულობის დონის ზრდა**

1. თითოეული მხარე, სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციის წინააღმდეგ ბრძოლის განმტკიცების მიზნით, ხელს შეუწყობს ინფორმირებულობის დონის ზრდას, განათლებას, ტრენინგებსა და კვლევებს.

**მუხლი 7 - სპორტული ორგანიზაციები და შეჯიბრის ორგანიზატორები**


1. თითოეული მხარე, სპორტის ორგანიზატორებსა და შეჯიბრის ორგანიზატორებს ხელს შეუწყობს მიიღოს და განახორციელოს ზომები სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციის წინააღმდეგ საბრძოლველად. გარდა ამისა, ხელს შეუწყობენ განახორციელონ კარგი მმართველობის პრინციპები, რომელიც უკავშირდება, მათ შორის:
  - a. ინტერესთა კონფლიქტის აღმოფხვრას, მათ შორის:
    - აუკრძალავს შეჯიბრის მონაწილეებს ფსონების დადებას იმ სპორტულ შეჯიბრებებში, რომლებშიც ისინი არიან ჩართულნი;
    - აუკრძალავს მათ შიდა ინფორმაციის გამოყენებას ან გავრცელებას
  - b. სპორტული ორგანიზაციებისა და მათი ასოცირებული წევრების მიერ თავიანთი საკონტრაქტო და სხვა ვალდებულებების შესრულებას;
  - c. მოთხოვნას შეჯიბრის მონაწილეების მიმართ, დაუყოვნებლივ შეატყობინონ საექვო აქტივობის, ინციდენტის, წახალისების ან მიდგომის შესახებ, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციის წინააღმდეგ ბრძოლის წესების დარღვევად.
2. თითოეული მხარე, ხელს შეუწყობს სპორტულ ორგანიზაციებს მიიღონ და განახორციელონ შესაბამისი ღონისძიებები, რათა უზრუნველყონ შემდეგი:
  - a. სიღრმისეული და ეფექტური მონიტორინგი, სპორტული შეჯიბრებების მსვლელობის კუთხით, რომელიც გამოააშკარავებს მანიპულაციის რისკებს;

- 
- b. საჯარო უწყებებისათვის ან ეროვნულ დონეზე, იმ საეჭვო აქტოვების შესახებ შეტყობინების მიწოდება, დაყოვნების გარეშე, რომელიც უკავშირდება სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციას;
  - c. ეფექტური მექანიზმების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს რაიმე ინფორმაციის გამჟღავნებას, რაც უკავშირდება შესაძლო ან მიმდინარე შემთხვევებს სპორტული შეჯიბრებების, მანიპულაციის კუთხით. აღნიშნული მექანიზმები უნდა ითვალისწინებდეს მამხილებელთა ეფექტურ დაცვას;
  - d. ინფორმირებულობის დონის ზრდა შეჯიბრის მონაწილეებს, ასევე ახალგაზრდა სპორტსმენებს შორის, სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციის რისკის შესახებ და ძალისხმევის მობილიზება აღნიშნულის წინააღმდეგ საბრძოლველად განათლების, ტრენინგების და ინფორმაციის გავრცელების გზით;
  - e. სპორტული შეჯიბრებისთვის შესაბამისი ოფიციალური პირების, კერძოდ, მსაჯების დანიშვნა, შესაძლო ბოლო სტადიაზე.
3. თითოეული მხარე ხელს შეუწყობს თავიანთ სპორტულ ორგანიზაციებს და მათი მეშვეობით საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებს, მიიღონ სპეციალური, ეფექტური, პროპორციული და პრევენციული ხასიათის დისციპლინარული სანქციები და ზომები, იმ შიდასახელმწიფოებრივი ნორმების დარღვევისათვის, რომელიც ითვალისწინებს სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციის წინააღმდეგ ბრძოლას. კერძოდ როდესაც აღნიშნული ეხება წინამდებარე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებს. გარდა ამისა, თითოეული მხარე უზრუნველყოფს იმ სანქციების ერთობლივ აღიარებასა და აღსრულებას, რომელიც დაწესებულია სხვა სპორტული ორგანიზაციების მიერ, ძირითადად სხვა ქვეყნებში.
  4. დისციპლინარული პასუხისმგებლობა, რომელიც განსაზღვრულია სპორტული ორგანიზაციების მიერ, არ უნდა გამორიცხავდეს რაიმე კრიმინალურ, სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას.

#### მუხლი 8 - სპორტული ორგანიზაციების დაფინანსებასთან დაკავშირებული ღონისძიებები

1. თითოეული მხარე მიიღებს ისეთ სამართლებრივ ან სხვა სახის ზომებს, რომელიც შესაძლოა საჭირო იყოს სათანადო გამჭვირვალობისთვის, რაც უკავშირდება იმ სპორტული ორგანიზაციების დაფინანსებას, რომლებიც ფინანსურად მხარდაჭერილნი არიან შესაბამისი მხარის მიერ.
2. თითოეული მხარე, სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით, შესაბამისი მექანიზმების დაფინანსების გზით, განიხილავს სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობის შესაძლებლობას.
3. თითოეული მხარე, საჭიროების შემთხვევაში, განიხილავს ფინანსური მხარდაჭერის გაუქმების საკითხს ან მოუწოდებს სპორტულ ორგანიზაციებს უარი თქვან შეჯიბრის იმ მონაწილეთა ფინანსურ მხარდაჭერაზე, რომელთაც დაკისრებული აქვთ სანქცია სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციის გამო, სანქციის მოქმედების ხანგრძლივობის მანძილზე.
4. საჭიროების შემთხვევაში, თითოეული მხარე მიიღებს ზომებს უარი თქვას ნაწილობრივ ან სრულ დაფინანსებაზე ან სხვა, სპორტთან დაკავშირებულ მხარდაჭერაზე ნებისმიერი სპორტული ორგანიზაციის მხრიდან, რომლებიც

ეფექტურად ვერ ახორციელებენ სპორტის შეჯიბრებების მანიპულაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ნორმებს.



**მუხლი 9 - ფსონების მარეგულირებელ ორგანოსთან ან სხვა პასუხისმგებელ უწყებასთან ან უწყებებთან დაკავშირებული ღონისძიებები.**

1. თითოეული მხარე განსაზღვრავს ერთ ან მეტ პასუხისმგებელ უწყებას, რომელიც მხარის მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე უფლებამოსილია განახორციელოს დადგენილება ფსონების შესახებ და შესაბამისი ღონისძიებების გამოყენებით შეებრძოლოს სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციას ფსონებთან დაკავშირებით, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში:
  - a. გაცვალოს ინფორმაცია დროულად, შესაბამის დაწესებულებებს შორის ან ეროვნულ დონეზე, უკანონო, არარეგულარულ და საეჭვო ფსონებთან დაკავშირებით, ასევე იმ დებულებების დარღვევასთან დაკავშირებით, რომელიც მოცემულია ან განსაზღვრულია წინამდებარე კონვენციის თანახმად;
  - b. შეზღუდოს ფსონების დადება, როდესაც გამორიცხულია სპორტული შეჯიბრებები და შემდგომ აწარმოოს კონსულტაციები ეროვნულ სპორტულ ორგანიზაციებთან და ფსონის დამდებ ოპერატორებთან კერძოდ:
    - რომელიც განკუთვნილია 18 წლამდე ასაკის პირთათვის;
    - ან სადაც ორგანიზაციული პირობები და/ან ფსონები სპორტული თვალსაზრისით არასაკმარისია;
  - c. უზრუნველყოს წინასწარი ინფორმაციის მიწოდება შეჯიბრის ორგანიზატორებისთვის, ახარტული სპორტული თამაშების პროდუქციის ტიპების და სახეობების შესახებ, რათა მათ, თავიანთი ძალისხმევით განსაზღვრონ და აღმოფხვრან რისკები, რომლებიც უკავშირდება თავიანთი შეჯიბრის სპორტულ მანიპულაციებს;
  - d. უნდა მოიძიოს სპორტული ფულადი სახსრების გადახდის საშუალებები და გამოააშკარაოს გამგზავნი მხარე, მიმღები და თანხის ოდენობა;
  - e. სპორტულ ორგანიზაციებთან და საჭიროების შემთხვევაში, სპორტული ფსონის დამდებ ოპერატორებთან ერთად, შეიმუშაოს მექანიზმები, რათა აღკვეთოს შეჯიბრის მონაწილეთა მხრიდან სპორტულ შეჯიბრებებთან დაკავშირებით ფსონების დადება, რომელიც არღვევს სპორტის შესაბამის წესებსა და მოქმედ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას;
  - f. შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის თანახმად, შეაჩეროს ფსონების დადება იმ შეჯიბრებებთან დაკავშირებით, რომელთა მიმართაც გამოცხადდა მზადყოფნა;
2. თითოეული მხარე ეროვნის საბჭოს გენერალურ მდივანს აცნობებს იმ უწყების ან უწყებების დასახელებას და მისამართს, რომელიც განსაზღვრულია წინამდებარე მუხლის 1-ლი პუნქტით.


**მუხლი 10 - სპორტული ფსონების დამდები ოპერატორები**



1. თითოეული მხარე განახორციელებს ისეთ სამართლებრივ ან სხვა სახის ღონისძიებებს, რაც საჭირო იქნება ინტერესთა კონფლიქტის და იმ ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ შიდა ინფორმაციის ბოროტად გამოყენების თავიდან ასაცილებლად, რომლებიც ჩართულნი არიან სპორტული ფსონების წარმოებაში. კერძოდ უნდა გამკაცრდეს სანქციები:
- ფიზიკურ ან იურიდიულ პირთა მიმართ, რომლებიც ჩართულნი არიან სპორტული ფსონების წარმოებაში და დებენ ფსონებს თავიანთ პროდუქციაზე;
  - სპორტული ორგანიზაციის სპონსორის ან თანამფლობელის მიერ თანამდებობის ბოროტად გამოყენებისთვის, რომლებიც ხელს უწყობენ სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციას ან შიდა ინფორმაციის გამჟღავნებას;
  - შეჯიბრის მონაწილე მხარეთა მიერ, რომლებიც დებენ ფსონებს იმ შეჯიბრზე, რომლის მონაწილენიც ისინი არიან;
  - სპორტული ფსონის დამდები ოპერატორის მიმართ, რომელიც აკონტროლებს შეჯიბრის ორგანიზატორს ან მონაწილე მხარეს, ასევე სპორტული ფსონის დამდებ ოპერატორთან დაკავშირებით, რომელიც კონტროლდება აღნიშნული შეჯიბრის ორგანიზატორის ან მონაწილე მხარის მიერ და დებს ფსონებს იმ შეჯიბრთან დაკავშირებით, რომელშიც აღნიშნული შეჯიბრის ორგანიზატორი და მონაწილე არიან ჩართულნი;
2. თითოეული მხარე ხელს შეუწყობს თავიანთ ფსონის დამდებ ოპერატორებს და მათი მეშვეობით, ფსონის დამდები ოპერატორების საერთაშორისო ორგანიზაციებს, მის მფლობელებსა და თანამშრომლებს, მოსალოდნელი შედეგების და სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ინფორმირებულობის დონის ამაღლების კუთხით, რაც ხორციელდება განათლების, ტრენინგებისა და ინფორმაციის გავრცელების გზით.
3. თითოეული მხარე მიიღებს საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რომელიც დაავალდებულებს ფსონების დამდებ ოპერატორებს, არარეგულარული ან საექვო ფსონის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ შეატყობინოს ფსონების მარეგულირებელ ორგანოს, სხვა პასუხისმგებელ უწყებას ან უწყებებს ან ეროვნულ პლატფორმას.

#### მუხლი 11 - უკანონო სპორტული ფსონების წინააღმდეგ ბრძოლა

- სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით, თითოეული მხარე მოიძიებს უკანონო ფსონების დამდები ოპერატორების წინააღმდეგ მიმართულ, ყველაზე მისაღებ საშუალებას და განიხილავს ზომების გატარების გზებს, მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად, როგორცაა:
  - მხარეთა იურისდიქციის ფარგლებში, ფსონების დამდები ოპერატორების გაუქმება ან ხელმისაწვდომობის პირდაპირი და ირიბი შეზღუდვა;
  - ფინანსური ოპერაციების დაბლოკვა უკანონო ფსონების დამდებ ოპერატორებსა და მომხმარებლებს შორის;
  - უკანონო ფსონების დამდები ოპერატორების რეკლამირების აკრძალვა;
  - მომხმარებელთა ინფორმირებულობის დონის გაზრდა იმ რისკებთან მიმართებაში, რომელიც უკავშირდება უკანონო ფსონებს.



**თავი III - ინფორმაციის გაცვლა**

**მუხლი 12 - ინფორმაციის გაცვლა კომპეტენტურ საჯარო დაწესებულებებს, სპორტულ ორგანიზაციებსა და ფსონების დამდებ ოპერატორებს შორის**

1. მე-14 მუხლისათვის ზიანის მიუყენებლად თითოეული მხარე, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე, ხელს შეუწყობს და თავიანთი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად, გაუცვლის ინფორმაციას შესაბამის საჯარო დაწესებულებებს, სპორტულ ორგანიზაციებს, შეჯიბრის ორგანიზატორებს, ფსონების დამდებ ოპერატორებს და ეროვნულ პლატფორმას. კერძოდ, თითოეული მხარე იღებს ვალდებულებას, შეიმუშაოს მექანიზმები, სათანადო ინფორმაციის გაცვლის მიზნით, რომელიც დაეხმარება შესაბამის ორგანოებს მე-5 მუხლით განსაზღვრული რისკების შეფასებაში და ასევე, მიაწოდოს წინასწარი ინფორმაცია სანაძლეო პროდუქტის ტიპისა და მახასიათებლების შესახებ შეჯიბრის ორგანიზატორებს. თითოეული მხარე მოახდენს, ასევე, სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციებთან დაკავშირებით გამოძიებისა და სამართალწარმოების ინიცირებას.
2. მოთხოვნის საფუძველზე, აღნიშნული ინფორმაციის მიმღები, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის თანახმად, დაუყოვნებლივ აცნობებს ორგანიზაციას ან უწყებას ასეთი ინფორმაციის მოწოდების თაობაზე.
3. თითოეული მხარე მოიძიებს თანამშრომლობის გაღრმავებისა და განვითარების და ასევე ინფორმაციის გაცვლის შესაძლო გზებს, რომელიც უკავშირდება უკანონო ფსონებთან ბრძოლას, რაც განსაზღვრულია წინამდებარე კონვენციის მე-11 მუხლით.

**მუხლი 13 - ეროვნული პლატფორმა**

1. თითოეული მხარე განსაზღვრავს ეროვნულ პლატფორმას, რომელიც მიმართულია სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციების წინააღმდეგ ბრძოლისკენ. ეროვნულ პლატფორმამ, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის თანახმად, მათ შორის, უნდა განახორციელოს შემდეგი:
  - a. წარმოადგენდეს საინფორმაციო ცენტრს, შეაგროვოს და შესაბამის ორგანიზაციებსა და უწყებებს მიაწოდოს ინფორმაცია, რომელიც რელევანტურია სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით;
  - b. კოორდინაცია გაუწიოს სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციების წინააღმდეგ ბრძოლას;
  - c. მიიღოს, თავი მოუყაროს და გააანალიზოს ინფორმაცია არარეგულარულ და საეჭვო ფსონებთან დაკავშირებით, სპორტულ შეჯიბრებებთან მიმართებაში, რომელიც ტარდება მხარის ტერიტორიაზე და საჭიროების შემთხვევაში, გასცეს გაფრთხილება;
  - d. როგორც წინამდებარე კონვენციით არის განსაზღვრული, სპორტის შესახებ დებულებებისა ან სპორტის სფეროში მოქმედი კანონის დარღვევის შემთხვევაში,

ინფორმაცია გადასცეს სახელმწიფო ორგანოებს ან სპორტულ ორგანიზაციებს და/ან ფსონების დამდებ ოპერატორებს;

e. თანამშრომლოს ყველა ორგანიზაციასთან და შესაბამის უწყებასთან, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, მათ შორის სხვა სახელმწიფოს ეროვნულ პლატფორმასთან.

2. თითოეული მხარე ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს მიაწოდებს ეროვნული პლატფორმის დასახელებასა და მისამართს.

#### მუხლი 14 - პერსონალური მონაცემების დაცვა

1. თითოეული მხარე გაატარებს ისეთ საკანონმდებლო ან სხვა ღონისძიებებს, რომელიც შესაძლოა აუცილებელი იყოს იმ ფაქტის უზრუნველსაყოფად, რომ სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციის წინააღმდეგ მიმართული ქმედებები აკმაყოფილებს შესაბამის ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებსა და ნორმებს პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ. კერძოდ, აღნიშნული ეხება ინფორმაციის გაცვლას, რომელიც გათვალისწინებულია წინამდებარე კონვენციით.
2. თითოეული მხარე გაატარებს ისეთ საკანონმდებლო ან სხვა ღონისძიებებს, რომლითაც გარანტირებულია, რომ სახელმწიფო ორგანოები და ორგანიზაციები, რომელიც მოცემულია წინამდებარე კონვენციაში, იღებენ სათანადო ზომებს პერსონალური ინფორმაციის შეგროვების, დამუშავებისა და გაცვლის უზრუნველსაყოფად. მიუხედავად აღნიშნული გაცვლის ღონისძიების ხასიათისა, სათანადო ყურადღება ენიჭება პრინციპების კანონიერებას, ადეკვატურობას, შესაბამისობასა და სიზუსტეს და ასევე, მონაცემთა დაცვასა და მონაცემთა სუბიექტის უფლებას.
3. თითოეული მხარე თავის შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში გაითვალისწინებს, რომ სახელმწიფო ორგანოები და ორგანიზაციები, რომლებიც გათვალისწინებულნი არიან წინამდებარე კონვენციით, უზრუნველყოფენ, რომ მონაცემთა გაცვლა წინამდებარე კონვენციის მიზნებისთვის, არ სცდება ინფორმაციის გაცვლისთვის საჭირო აუცილებელ მინიმუმს.
4. თითოეული მხარე მოუწოდებს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებს და ორგანიზაციებს, რომლებიც გათვალისწინებულნი არიან წინამდებარე კონვენციით, აწარმოონ სათანადო ტექნიკური საშუალებები ინფორმაციის გაცვლის დაცულობის მიზნით და უზრუნველყონ მათი საიმედოობა და მთლიანობა, ასევე, მოახდინონ მონაცემთა გაცვლის სისტემების ხელმისაწვდომობა, მთლიანობა და მომხმარებლის იდენტიფიკაცია.

თავი IV - სისხლის სამართლის მატერიალური ნორმები და თანამშრომლობა აღსრულების სფეროში

მუხლი 15 - სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციებთან დაკავშირებული სისხლის სამართლის დანაშაული

1. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ მისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა ითვალისწინებდეს სისხლისსამართლებრივ სანქციებს სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციების კუთხით, როდესაც აღნიშნული ეხება იძულების, კორუმპირების ან გაყალბების პრაქტიკებს, როგორც აღნიშნული გასაზღვრულია შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით.

#### მუხლი 16 – სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციებთან დაკავშირებული კრიმინალური დანაშაულის შედეგად მიღებული ფულის გათეთრება

1. თითოეული მხარე გაატარებს ისეთ სამართლებრივ ან სხვა ღონისძიებებს, რომელიც შესაძლოა საჭირო იყოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით განსაზღვრული კრიმინალური დანაშაულის კუთხით და ითვალისწინებდეს ქმედებას, რომელსაც მოიცავს „დანაშაულის შედეგად მიღებული ფულის გათეთრების, მოძიების, ჩამორთმევისა და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის“ (2005, CETS No. 198) მე-9 მუხლის 1 და 2 პარაგრაფები, ასევე „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის“ (2000) მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის ან „კორუფციის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის“ (2003) 23-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ზემოაღნიშნული გარემოებების არსებობისას, კერძოდ როდესაც დამტკიცებული დანაშაულის შედეგად მოპოვებულია ისეთი მოგება, რომელიც განსაზღვრულია წინამდებარე კონვენციის მე-15 და მე-17 მუხლებით და გამომალვის, კორუფციის და თაღლითობის შედეგად.
2. რიგი დანაშაულების განხილვისას, რომელიც მოიაზრება ზემოაღნიშნული 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ დამტკიცებულ დანაშაულად, თითოეული მხარე უფლებამოსილია, თავისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის თანახმად, მიიღოს გადაწყვეტილება თუ როგორ დაკვალიფიციროს ეს დანაშაული და შეაფასოს ცალკეული ელემენტები რამდენად ამძიმებს მას.
3. თითოეული მხარე, სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციების ჩათვლით, ფულის გათეთრების აღკვეთის ფარგლებში მოსთხოვს ფსონის დამდებ ოპერატორებს გამოიჩინონ მომხმარებლის მიმართ კეთილსინდისიერება, აწარმოონ ჩანაწერები და ანგარიშები.

#### მუხლი 17 - დახმარება და წაქეზება

1. თითოეული მხარე გაატარებს ისეთ საკანონმდებლო ან სხვა ღონისძიებებს, რომლითაც შესაძლოა დაკვალიფიცირდეს კრიმინალური დანაშაული თავიანთი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის თანახმად, როდესაც აღნიშნული დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია წინამდებარე კონვენციის მე-15 მუხლით, ჩადენილია განზრახ, დანაშაულის ჩადენაში დახმარებით ან წაქეზებით.

#### მუხლი 18 - ერთობლივი პასუხისმგებლობა

1. თითოეული მხარე გაატარებს ისეთ საკანონმდებლო ან სხვა სახის ღონისძიებებს, რომლითაც შესაძლოა დაკვალიფიცირდეს, რომ იურიდიულ პირს შესაძლოა დაეკისროს პასუხისმგებლობა იმ დანაშაულებისთვის, რომელიც განსაზღვრულია

წინამდებარე კონვენციის მე-15 - მე-17 მუხლებით, ჩადენილია ფიზიკური პირის მიერ მოგების მიღების მიზნით და ქმედება განხორციელებულია ინდივიდუალურად ან როგორც იურიდიული პირის წევრის სტატუსით, რომელსაც გააჩნია წამყვანი პოზიცია აღნიშნულ დაწესებულებაში და უფლებამოსილია:

- a. წარმოადგინოს იურიდიული პირი;
  - b. მიიღოს გადაწყვეტილებები იურიდიული პირის სახელით;
  - c. განახორციელოს აღნიშნული დაწესებულების კონტროლი.
2. მხარის სამართლებრივი პრონციპების საფუძველზე, იურიდიულ პირს შესაძლოა დაეკისროს სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.
3. გარდა 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, თითოეული მხარე განახორციელებს სათანადო ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოს, რომ იურიდიულ პირს შესაძლოა დაეკისროს პასუხისმგებლობა, როდესაც არ ხორციელდება ფიზიკური პირის მიერ ზედამხედველობა ან კონტროლი, როგორც ეს აღნიშნულია 1-ლ პუნქტში და განხორციელდა წინამდებარე კონვენციის მე-15 - მე-17 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაული იმ იურიდიული პირის სასარგებლოდ ფიზიკური პირის მიერ, რომელიც მოქმედებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში.
4. ასეთი პასუხისმგებლობა, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შეუზღუდავად, დაეკისრება დანაშაულის ჩამდენ ფიზიკურ პირს.

თავი V - იურისდიქცია, სისხლის სამართლის საპროცესო და აღსრულების ღონისძიებები

#### მუხლი 19 - იურისდიქცია

1. თითოეული მხარე მიიღებს ისეთ საკანონმდებლო ან სხვა ზომებს, რომელიც შესაძლოა საჭირო იყოს იურისდიქციის დასაწესებლად წინამდებარე კონვენციის მე-15 - მე-17 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებზე. აღნიშნული იურისდიქცია მოქმედებს, როდესაც დანაშაული ჩადენილია:
  - a. თავის ტერიტორიაზე; ან
  - b. მისი დროშის ქვეშ მცურავ გემზე; ან
  - c. თავისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის თანახმად რეგისტრირებულ საჰაერო ხომალდზე; ან
  - d. ერთ-ერთი მისი მოქალაქის მიერ ან იმ პირის მიერ, რომელიც მუდმივად ცხოვრობს მის ტერიტორიაზე.
2. თითოეული სახელმწიფო ან ევროკავშირი, უფლებამოსილია, დოკუმენტის ხელმოწერისას ან სარატიფიკაციო სიგელის დეპონირებისას, მისი მიღების ან დამტკიცებისას, დეკლარაციით, რომლითაც მიმართავენ ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს განაცხადონ, რომ იტოვებენ უფლებას არ გამოიყენონ, ან გამოიყენონ მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში, ან გარემოებების არსებობისას, იურისდიქციის შესახებ წესები, რომელიც განსაზღვრულია წინამდებარე მუხლის 1-ლი პუნქტის „d“ ქვეპუნქტით.
3. თითოეული მხარე მიიღებს საკანონმდებლო ან სხვა ზომებს, რათა დააწესონ იურისდიქცია იმ დანაშაულებზე, რომელიც განსაზღვრულია წინამდებარე

კონვენციის მე-15 - მე-17 მუხლებით, იმ შემთხვევებში, როდესაც ექვმიტანილი წარმოდგენილია მის ტერიტორიაზე და ვერ ხერხდება მისი ექსტრადიცია მეორე მხარის მიერ, მისი ეროვნების საფუძველზე.

4. როდესაც ერთზე მეტი მხარე აცხადებს პრეტენზიას იურისდიქციაზე, იმ სავარაუდო დანაშაულთან დაკავშირებით, რომელიც განსაზღვრულია წინამდებარე კონვენციის მე-15 - მე-17 მუხლებით, ჩართულმა მხარეებმა, საჭიროების შემთხვევაში უნდა მოილაპარაკონ და განსაზღვრონ ყველაზე შესაფერისი იურისდიქცია სისხლისსამართლებრივი დევნის კუთხით.
5. საერთაშორისო სამართლის ზოგადი ნორმების შეუზღუდავად, წინამდებარე კონვენცია არ გამორიცხავს რაიმე სისხლისსამართლებრივ, სამოქალაქო და ადმინისტრაციულ იურისდიქციას, რომელიც ხორციელდება მხარის მიერ, თავისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად.

#### მუხლი 20 - ელექტრონული მტკიცებულებების დაცვის ღონისძიებები

1. თითოეული მხარე განახორციელებს საკანონმდებლო ან სხვა ღონისძიებებს, რათა დაიცვას ელექტრონული მტკიცებულებები, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის თანახმად, წინამდებარე კონვენციის მე-15 - მე-17 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის გამოძიებისას. მათ შორის, კომპიუტერში შენახული მონაცემები, გაგზავნილი ინფორმაცია და ტრაფიკის მონაცემები, შეკვეთების, შენახულ კომპიუტერულ მონაცემთა ჩხრეკა და ამოღება, რეალურ დროში ტრაფიკის მონაცემთა შეგროვება და არსებული ინფორმაციის გადაქაჩვა.

#### მუხლი 21 - დაცვის ღონისძიებები

1. თითოეული მხარე განიხილავს ისეთი სამართლებრივი ღონისძიებების მიღებას, რომელიც საჭიროა შემდეგ პირთა ეფექტური დაცვისათვის:
  - a. პირები, რომლებიც, კეთილსინდისიერად, სათანადო საფუძველზე წარმოადგენენ ინფორმაციას, წინამდებარე კონვენციის მე-15 - მე-17 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით ან სხვაგვარად თანამშრომლობენ გამოძიებასთან ან საგამოძიებო ორგანოებთან;
  - b. მოწმეები, რომლებიც აძლევენ სასამართლო ჩვენებას, ზემოაღნიშნულ დანაშაულებთან დაკავშირებით;
  - c. საჭიროების შემთხვევაში, წინამდებარე მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული პირების ოჯახის წევრები.

#### თავი VI - სანქციები და ზომები

#### მუხლი 22 - სისხლისსამართლებრივი სანქციები ფიზიკური პირების წინააღმდეგ

1. თითოეული მხარე განახორციელებს საკანონმდებლო ან სხვა ღონისძიებებს და უზრუნველყოფს, რომ წინამდებარე კონვენციის მე-15 - მე-17 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები, თუ ისინი ჩადენილია ფიზიკური პირების მიერ, ისჯებოდეს ეფექტური, სათანადო და შესაბამისი სანქციებით, მათ შორის, დანაშაულის სერიოზულობის გათვალისწინებით, ფულადი სანქციებით. წინამდებარე სანქციები მოიცავს სასჯელს, რაც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის თანახმად, შეიძლება იყოს ექსტრადიციის წინაპირობა.

#### მუხლი 23 - სანქციები იურიდიული პირების მიმართ

1. თითოეული მხარე განახორციელებს საკანონმდებლო ან სხვა ღონისძიებებს და უზრუნველყოფს, რომ იურიდიულ პირებს დაეკისროთ პასუხისმგებლობა მე-18 მუხლის შესაბამისად და სანქციები იყოს ეფექტური, პროპორციული და სათანადო, მათ შორის ფულადი სანქციები. შესაძლოა აგრეთვე, გამოყენებულ იქნას სხვა ზომებიც, როგორცაა:
  - a. მიმდინარე კომერციული საქმიანობიდან დროებითი ან მუდმივი დისკვალიფიკაცია;
  - b. სასამართლო ზედამხედველობის ქვეშ მოთავსება;
  - c. სასამართლოს გადაწყვეტილება ლიკვიდაციის შესახებ.

#### მუხლი 24 - ადმინისტრაციული სანქციები

1. თითოეული მხარე, საჭიროების შემთხვევაში, მიიღებს ისეთ საკანონმდებლო ან სხვა ღონისძიებებს, იმ აქტებთან დაკავშირებით, რომელიც დასჯადია შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით და საჭიროა იმ სამართალდარღვევათა დასადგენად, რომელიც განსაზღვრულია წინამდებარე კონვენციის თანახმად ეფექტური, პროპორციული და სათანადო სანქციებითა და ზომებით, რომელიც გამოტანილია ადმინისტრაციული ორგანოების მიერ, სადაც გადაწყვეტილება შესაძლოა იყოს შესაბამისი იურისდიქციის მქონე სასამართლოში სამართალწარმოების წინაპირობა.
2. თითოეული მხარე უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ღონისძიებების გამოყენებას. წინამდებარე შესაძლოა განხორციელდეს ფსონების მარეგულირებელი ორგანოს ან სხვა პასუხისმგებელი უწყების ან უწყებების მიერ, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად.

#### მუხლი 25 - ჩამორთმევა და კონფისკაცია

1. თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა ზომებს, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის თანახმად, რათა გაიცეს ჩამორთმევისა და კონფისკაციის შესახებ ნებართვა შემდეგთან დაკავშირებით:

- a. საქონელი, დოკუმენტაცია და სხვა დოკუმენტები რომლებიც გამოიყენება, ან განზრახულია მათი გამოყენება იმ დანაშაულების ჩასადენად, რომელიც განსაზღვრულია წინამდებარე კონვენციის მე-15 - მე-17 მუხლებით;
- b. დანაშაულის შედეგად მოპოვებული შემოსავალი, ან ღირებული ქონება, რომელიც უკავშირდება ასეთ შემოსავალს.


თავი VII - საერთაშორისო თანამშრომლობა სასამართლო და სხვა საკითხებთან დაკავშირებით

მუხლი 26 - სისხლის სამართლის საკითხებთან დაკავშირებული საერთაშორისო თანამშრომლობის მექანიზმები

1. მხარეები ითანამშრომლებენ ერთმანეთთან, წინამდებარე კონვენციის დებულებების და შესაბამისი მოქმედი საერთაშორისო და რეგიონული დოკუმენტაციისა და მექანიზმების თანახმად, რომელიც შეთანხმებულია მუდმივი ან ორმხრივი კანონმდებლობით და თავიანთი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით, მაქსიმალური შესაძლებლობების ფარგლებში, რაც საჭიროა გამოძიებებისათვის და სასამართლო პროცესებისთვის და ეხება დანაშაულებს, რომელიც გათვალისწინებულია წინამდებარე კონვენციის მე-15 - მე-17 მუხლებით, მათ შორის, ყადაღის დადებისა და კონფისკაციის კუთხით.
2. მხარეები ითანამშრომლებენ მაქსიმალური შესაძლებლობების ფარგლებში, ექსტრადიციასა და სისხლის სამართლის საკითხებთან დაკავშირებით შესაბამისი მოქმედი საერთაშორისო, რეგიონული და ორმხრივი ხელშეკრულებების შესაბამისად და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის თანახმად იმ დანაშაულებთან მიმართებაში, რომელიც გათვალისწინებულია წინამდებარე კონვენციის მე-15 - მე-17 მუხლებით.
3. საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებში, როდესაც სახეზეა ორმაგი დამნაშავეობა, გათვალისწინებულ უნდა იქნეს, რომ სახელმწიფოში სადაც დამნაშავე იმყოფება, ჩადენილი დანაშაული განიხილებოდეს დანაშაულთა იმავე კატეგორიაში და დანაშაულის გამოსავლენად გამოიყენებოდეს იგივე ტერმინი, რაც გამოიყენება მომთხოვნ სახელმწიფოში, იმ შემთხვევაში, თუ ქცევა, რომელიც საფუძვლად უდევს დანაშაულს და რომლის მიმართაც სამართლებრივი ურთიერთდახმარება ან ექსტრადიცია მოითხოვება, ორივე სახელმწიფოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის თანახმად წარმოადგენს სისხლისსამართლებრივ დანაშაულს.
4. თუ მხარე, რომელიც ახორციელებს ექსტრადიციას ან სამართლებრივ ურთიერთდახმარებას სისხლის სამართლის საკითხებში და ხელშეკრულების საფუძველზე მოითხოვს ქსტრადიციას ან სამართლებრივ დახმარებას სისხლის სამართლის საკითხებში იმ მხარისგან, რომელსაც არ გააჩნია ასეთი ხელშეკრულება, იგი უფლებამოსილია, თავისი ვალდებულებების სრული დაცვით, საერთაშორისო სამართლისა და თავისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული გარემოებების თანახმად, წინამდებარე კონვენცია განიხილოს ექსტრადიციის ან სისხლის სამართლის საკითხებში სამართლებრივი დახმარების



იურიდიულ საფუძვლად იმ დანაშაულებთან მიმართებაში, რომელიც მოცემულია წინამდებარე კონვენციის მე-15 - მე-17 მუხლებით.



**მუხლი 27 - პრევენციასთან დაკავშირებული საერთაშორისო თანამშრომლობის სხვა ღონისძიებები**

1. თითოეული მხარე შეეცდება მოახდინოს, საჭიროების შემთხვევაში, სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციების წინააღმდეგ ბრძოლის ინტეგრირება დახმარების პროგრამებში, მესამე სახელმწიფოთა სასარგებლოდ.

**მუხლი 28 - საერთაშორისო თანამშრომლობა საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებთან**

1. თითოეული მხარე, შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის თანახმად, ითანამშრომლებს საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებთან სპორტული შეჯიბრებების მანიპულაციების წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით.

**თავი VIII - შესრულება**

**მუხლი 29 - ინფორმაციის მიწოდება**

1. თითოეული მხარე, ევროპის საბჭოს ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე, ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს მიაწოდებს ყველა საჭირო ინფორმაციას, რაც უკავშირდება, მათ მიერ, საკანონმდებლო ან სხვა სახის ღონისძიებების გატარებას, აღნიშნული ზომების წინამდებარე კონვენციის პირობებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

**მუხლი 30 - კონვენციის სპეციალური კომიტეტი**

1. წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის შეიქმნება კონვენციის სპეციალური კომიტეტი.
2. თითოეული მხარე უფლებამოსილია წარმოადგენილი იყოს კონვენციის სპეციალურ კომიტეტში ერთი ან მეტი დელეგატის სახით, მათ შორის, სპორტის სფეროში სახელმწიფო, სამართალდამცავი ან ფსონების მარეგულირებელი ორგანოს წარმომადგენლების მიერ.
3. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, ასევე ევროპის საბჭოს სხვა შესაბამის მთავრობათაშორისი კომიტეტები, თითოეული დანიშნავს წარმომადგენელს კონვენციის სპეციალურ კომიტეტში, რათა ხელი შეუწყონ მრავალსექტორული და მულტიდისციპლინარული მიდგომების განვითარებას. კონვენციის სპეციალური კომიტეტი უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, ერთსულოვანი გადაწყვეტილების საფუძველზე, მოიწვიოს რომელიმე სახელმწიფო, რომელიც არ არის კონვენციის ან საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი, რათა მონაწილეობა მიიღოს დამკვირვებლის სტატუსით აღნიშნულ შეხვედრებში. წინამდებარე პუნქტით

- დანიშნულმა წევრებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ კონვენციის სპეციალური კომიტეტის შეხვედრებში ხმის მიცემის უფლების გარეშე.
4. კონვენციის სპეციალური კომიტეტის შეხვედრების მოწვევა უნდა მოხდეს ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ. მისი პირველი სხდომა ჩატარდება როგორც კი აღნიშნული პრაქტიკულად შესაძლებელი იქნება და ნებისმიერ შემთხვევაში, კონვენციის ძალაში შესვლის თარიღიდან ერთი წლის განმავლობაში. მომდევნო შეხვედრები გაიმართება მხარეთა ერთი მესამედის ან გენერალური მდივნის მოთხოვნის საფუძველზე.
  5. წინამდებარე კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე, კონვენციის სპეციალური კომიტეტი შეიმუშავებს და მიიღებს კონსენსუსის შედეგად პროცედურულ წესებს.
  6. კონვენციის სპეციალურ კომიტეტს თავისი ფუნქციების განხორციელებაში ეხმარება ევროპის საბჭოს სამდივნო.

### მუხლი 31 - კონვენციის სპეციალური კომიტეტის ფუნქციები

1. კონვენციის სპეციალური კომიტეტი პასუხისმგებელია თვალყური ადევნოს წინამდებარე კონვენციის განხორციელებას.
2. კონვენციის სპეციალური კომიტეტი მიიღებს და ცვლილებებს შეიტანს იმ სპორტული ორგანიზაციების ჩამონათვალში, რომელიც მოცემულია 3.2. მუხლით და უზრუნველყოფს, რომ აღნიშნული სიების გამოქვეყნება მოხდეს სათანადო წესით.
3. კონვენციის სპეციალური კომიტეტი უფლებამოსილია, კერძოდ:
  - a. გაუწიოს მხარეებს რეკომენდაციები იმ ღონისძიებების შესახებ, რომელიც მიღებულ უნდა იქნას წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის, კერძოდ საერთაშორისო თანამშრომლობის განხორციელების გზით.
  - b. საჭიროების შემთხვევაში, გაუწიოს მხარეებს რეკომენდაციები განმარტებითი დოკუმენტაციის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით და ასევე, სპორტულ ორგანიზაციებსა და ფსონების დამდებ ოპერატორებს შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
    - კრიტერიუმები, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს სპორტული ორგანიზაციების და ფსონების დამდები ოპერატორების მიერ, რათა ისარგებლონ ინფორმაციის გაცვლით, რომელიც მოცემულია წინამდებარე კონვენციის 12.1 მუხლში;
    - სხვა საშუალებებთან დაკავშირებით, რომელიც მიზნად ისახავს პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით თანამშრომლობის გაღრმავებას შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებებს, სპორტულ ორგანიზაციებსა და ფსონების დამდებ ოპერატორებს შორის, როგორც ეს აღნიშნულია წინამდებარე კონვენციით;
  - c. მიაწოდონ ინფორმაცია შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საზოგადოებას, იმ აქტივობების შესახებ, რომელიც ხორციელდება წინამდებარე კონვენციის ფარგლებში;
  - d. მოამზადონ წინადადება მინისტრთა კომიტეტისთვის წარსადგენად, რაც უკავშირდება ევროპის საბჭოს რომელიმე არაწევრი სახელმწიფოს მოწვევას

მინისტრთა კომიტეტის მიერ, რათა ხელი მოაწეროს კონვენციას 32.2 მუხლის თანახმად.

4. თავისი ფუნქციების შესრულების მიზნით, კონვენციის სპეციალური კომიტეტი უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივის საფუძველზე, დაგეგმოს ექსპერტთა შეხვედრები.
5. კონვენციის სპეციალური კომიტეტი, დაინტერესებულ მხარეთა წინასწარი თანხმობის საფუძველზე, დაგეგმავს მხარეებთან ვიზიტებს.

#### თავი IX - დასკვნითი დებულებები

##### მუხლი 32 - ხელმოწერა და ძალაში შესვლა

1. წინამდებარე კონვენცია, გაიხსნება ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების, ევროპის კულტურული კონვენციის მონაწილე მხარეების, ევროკავშირისა და არაწევრი სახელმწიფოების მიერ, რომლებიც ევროპის საბჭოსთან ერთად, მონაწილეობას იღებდნენ მის შემუშავებაში ან პროცესში დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობდნენ.
2. წინამდებარე კონვენცია, ასევე, გაიხსნება ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს იმ არაწევრი სახელმწიფოებისთვის, რომლებიც მოწვეულნი იყვნენ მინისტრთა კომიტეტის მიერ. გადაწყვეტილება, რომ არაწევრმა ქვეყანამ ხელი მოაწეროს კონვენციას, მიიღება ევროპის საბჭოს წესდების მე-20 მუხლის „დ“ ქვე-პუნქტის თანახმად, ხმათა უმრავლესობით და ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ ერთხმად, რომლებიც უფლებამოსილნი არიან წარმოდგენილნი იყვნენ მინისტრთა კომიტეტში. აღნიშნული ხორციელდება კონვენციის სპეციალურ კომიტეტთან კონსულტაციის შემდგომ.
3. წინამდებარე კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებასა და დამტკიცებას. რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების სიგელების დეპონირება უნდა მოხდეს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.
4. წინამდებარე კონვენცია ძალაში შედის თვის პირველ დღეს, მას შემდეგ რაც სამ თვიანი პერიოდი გავა იმ თარიღიდან, როდესაც ხუთი ხელმომწერი, მათ შორის, სულ მცირე ევროპის საბჭოს სამი წევრი სახელმწიფო გამოხატავს თანხმობას კონვენციის სავალდებულო ხასიათზე, 1, მე-2 და მე-3 პუნქტების დებულებების თანახმად.
5. ნებისმიერ ხელმომწერ სახელმწიფოსთან ან ევროკავშირთან მიმართებით, რომელიც შემდგომში გამოხატავს თანხმობას კონვენციის სავალდებულობასთან დაკავშირებით, კონვენცია ძალაში უნდა შევიდეს თვის პირველ დღეს, მას შემდეგ რაც გამოიხატება თანხმობა კონვენციის სავალდებულო ხასიათზე, 1, მე-2 და მე-3 პუნქტების დებულებების თანახმად.
6. ხელშემკვრელი მხარე, რომელიც არ არის ევროპის საბჭოს წევრი, ხელს შეუწყობს კონვენციის სპეციალური კომიტეტის დაფინანსებას იმ გზით, რომელიც მოწონებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ, მხარესთან კონსულტაციის შედეგად.

##### მუხლი 33 - კონვენციის შედეგები და ურთიერთობა სხვა საერთაშორისო დოკუმენტებთან

1. წინამდებარე კონვენცია არ ახდენს გავლენას მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებზე საერთაშორისო მრავალმხრივი კონვენციების ფარგლებში, რომელიც უკავშირდება კონკრეტულ საკითხებს. კერძოდ, წინამდებარე კონვენცია არ ცვლის მათ უფლებებსა და მოვალეობებს, რომელიც გამომდინარეობს ისეთი სხვა შეთანხმებებიდან, რომელიც ადრე იყო გაფორმებული დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლასთან დაკავშირებით და შეესაბამება წინამდებარე კონვენციის შინაარსსა და მიზანს.
2. წინამდებარე კონვენცია წარმოადგენს დამატებას, კერძოდ, საჭიროების შემთხვევაში, მხარეთა შორის მოქმედი მრავალმხრივი და ორმხრივი ხელშეკრულებებისათვის, მათ შორის, შემდეგი დებულებებისათვის:
  - a. ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენცია (1957, ETS No. 24);
  - b. სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ ევროპული კონვენცია (1959, ETS No. 30);
  - c. დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის შესახებ კონვენცია (1990, ETS No. 141);
  - d. ევროპის საბჭოს კონვენცია დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების, მოძიების, ამოღების და კონფისკაციის და ტერორიზმის დაფინანსების შესახებ (2005, CETS No. 198).
3. კონვენციის მხარეები უფლებამოსილნი არიან გააფორმონ ორმხრივი ან მრავალმხრივი ხელშეკრულებები ერთმანეთთან იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელსაც არეგულირებს წინამდებარე კონვენცია, რათა მოახდინონ მოცემული დებულებების დამატება ან განმტკიცება ან ხელი შეუწყონ აღნიშნულით გათვალისწინებული პრონციპების გამოყენებას.
4. თუ ორ ან მეტ მხარეს უკვე გაფორმებული აქვს ხელშეკრულება წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით ან სხვაგვარად აქვს ჩამოყალიბებული ურთიერთობები აღნიშნულ საკითხებთან მიმართებაში, ისინი აგრეთვე უფლებამოსილნი იქნებიან გამოიყენონ ეს ხელშეკრულება ან დაარეგულირონ ეს ურთიერთობები შესაბამისად. თუმცა, როდესაც მხარეები ამყარებენ ურთიერთობას წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებულ საკითხებთან დაკავშირებით, მათ უნდა განახორციელონ აღნიშნული ქმედება ისე, რომ წინააღმდეგობაში არ მოვიდნენ კონვენციის მიზნებთან და პრინციპებთან.
5. ამ კონვენციის არცერთი დებულება არ ახდენს გავლენას მხარეთა სხვა უფლებებზე, შეზღუდვებზე, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობაზე.

#### მუხლი 34 - პირობები და გარანტიები

1. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ უფლებამოსილებათა და პროცედურათა შექმნა, დანერგვა და გამოყენება, რომელიც მოცემულია II - VII თავებში, ექვემდებარება იმ პირობებსა და გარანტიებს, რაც გათვალისწინებულია შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით და უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ადეკვატურ დაცვას, მათ შორის იმ უფლებათა დაცვას, რომელიც გამომდინარეობს ვალდებულებებიდან, რომელიც დაკისრებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით, გაეროს 1966 წლის საერთაშორისო პაქტით სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ

და ადამიანის უფლებათა დაცვის სხვა მოქმედი სამართლებრივი აქტებით და რომელიც ითვალისწინებს თანაზომიერების პრინციპს თავის შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობაში.

2. აღნიშნული პირობები და გარანტიები, საჭიროების შემთხვევაში, პროცედურების გათვალისწინებით, სხვათა შორის, მოიცავს სასამართლო ან სხვა სახის დამოუკიდებელ ზედამხედველობას, აღნიშნულის გამოყენების გამამართლებელ საფუძველს, ასევე ასეთი ძალაუფლების შეზღუდვის ფარგლებსა და მის ხანგრძლივობას.
3. იმდენად, რამდენადაც ეს შეესაბამება საჯარო ინტერესს, კერძოდ, ჯანსაღი მართლმსაჯულების განხორციელებას, თითოეული მხარე განიხილავს უფლებამოსილების და პროცედურების გავლენას მესამე მხარის უფლებებთან, პასუხისმგებლობებთან და ლეგიტიმურ ინტერესებთან მიმართებაში.

### მუხლი 35 - ტერიტორიული გამოყენება

1. ნებისმიერი სახელმწიფო ან ევროკავშირი უფლებამოსილია, ხელმოწერის ან სარატიფიკაციო სიგელის დეპონირების, მიღების ან დამტკიცების დროს, მიუთითოს ტერიტორია ან ტერიტორიები, რომელზეც წინამდებარე კონვენცია გამოიყენება.
2. თითოეული მხარე, უფლებამოსილია, შემდგომში ნებისმიერ დროს, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისთვის წარდგენილი დეკლარაციით, გააფართოოს კონვენციის გამოყენების ტერიტორია დეკლარაციაში მითითებული ტერიტორიის მიხედვით, რომლის საერთაშორისო ურთიერთობებზეც ის არის პასუხისმგებელი ან რომლის სახელითაც ის უფლებამოსილია აიღოს ვალდებულებები. აღნიშნულ ტერიტორიასთან მიმართებით, კონვენცია ძალაში შედის თვის პირველ დღეს, გენერალური მდივნის მიერ დეკლარაციის მიღების თარიღიდან სამ თვიანი პერიოდის ამოწურვის შემდეგ.
3. ნებისმიერი დეკლარაცია, რომელიც იქმნება ზემოთ მოცემული ორი პუნქტის შესაბამისად, შესაძლოა, დეკლარაციაში მითითებულ ტერიტორიასთან მიმართებაში, გაუქმებულ იქნას, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისთვის შეტყობინების გაგზავნის გზით.

### მუხლი 36 - ფედერალური პუნქტი

1. ფედერალური სახელმწიფო უფლებამოსილია დაიტოვოს უფლება თავის თავზე აიღოს წინამდებარე კონვენციის II, IV, V და VI თავებით განსაზღვრული ვალდებულებები, იმ ფუნდამენტური პრინციპების თანახმად, რომელიც არეგულირებს ურთიერთობას ცენტრალურ მთავრობასა და მის შტატებს ან მსგავს ტერიტორიულ ერთეულებს შორის, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მას კვლავ შეუძლია თანამშრომლობა III და VII თავების მიხედვით.
2. 1-ლი პუნქტის თანახმად, დათქმის გაკეთებისას, ფედერალური სახელმწიფო უფლებამოსილია არ გამოიყენოს აღნიშნული დათქმის პირობები, რათა გამორიცხოს ან არსებითად შეამციროს იმ ზომების გამოყენება, რომელიც მოცემულია III და VII

თავებში. მთლიანობაში, მან უნდა აწარმოოს ფართო და ეფექტური აღსრულების შესაძლებლობა აღნიშნულ ზომებთან დაკავშირებით.

3. წინამდებარე კონვენციის დებულებებთან დაკავშირებით, რომელთა გამოყენება ხორციელდება თითოეული შემადგენელი შტატის ან მსგავსი ტერიტორიული ერთეულის იურისდიქციის ფარგლებში, რომლებიც არ არიან ვალდებული კონსტიტუციური სისტემით განახორციელონ სამართლებრივი ღონისძიებები, ფედერალურმა მთავრობამ უნდა აცნობოს აღნიშნული სახელმწიფოების შესაბამის უწყებებს იმ დებულებებთან დაკავშირებით თავისი შეხედულება, რაც ხელს შეუწყობს მათ შესაბამისი ზომების მიღებაში.

### მუხლი 37 - დათქმები

1. ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისთვის მიწოდებული შეტყობინების საფუძველზე, ნებისმიერ სახელმწიფოს ან ევროკავშირს, უფლება აქვთ, სამართლებრივი აქტის ხელმოწერისას ან სარატიფიკაციო სიგელის დეპონირების, მიღების ან დამტკიცებისას, განაცხადონ, რომ ისარგებლებენ დათქმებით, რომელსაც ითვალისწინებს მე-19 მუხლის მე-2 პუნქტი და 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.
2. მხარე, რომელმაც გააკეთა დათქმა 1-ლი პუნქტის შესაბამისად, უფლებამოსილია სრულიად ან ნაწილობრივ გააუქმოს იგი ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისთვის მიწოდების გზით. აღნიშნული გაუქმება ძალაში შევა გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან. თუ შეტყობინებაში მითითებულია, რომ დათქმაზე უარის თქმა ძალაში უნდა შევიდეს კონკრეტული თარიღით და აღნიშნული თარიღი მოიცავს გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების თარიღის შემდგომ პერიოდს, დათქმა გაუქმდება მითითებული თარიღით.
3. მხარემ, რომელმაც გააკეთა დათქმა, უარი უნდა თქვას მასზე სრულიად ან ნაწილობრივ, როგორც კი გარემოებები აღნიშნულის განხორციელებას შესაძლებელს გახდის.
4. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი უფლებამოსილია პერიოდულად დეტალურად გამოჰკითხოს მხარეებს, რომელთაც გაკეთებული აქვთ ერთი ან მეტი დათქმა, ასეთი დათქმის გაუქმების პერსპექტივის შესახებ.

### მუხლი 38 - ცვლილებები

1. წინამდებარე კონვენციის მუხლების ცვლილება შეიძლება შემოთავაზებულ იქნას რომელიმე მხარის მიერ, კონვენციის სპეციალური კომიტეტის ან ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ.
2. ნებისმიერი შემოთავაზება ცვლილებებთან დაკავშირებით უნდა ეცნობოს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს და გადაეგზავნოს მის მიერ მხარეებს, ევროპის საბჭოს მონაწილე სახელმწიფოებს, არაწევრ ქვეყნებს, რომელთაც მონაწილეობა აქვთ

მიღებული კონვენციის შემუშავებაში ან წარმოდგენილნი იყვნენ ევროპის საბჭოს დამკვირვებლის სტატუსით, ევროკავშირს, ნებისმიერ ქვეყანას, რომელიც მოწვეული იყო წინამდებარე კონვენციის ხელმოსაწერად და კონვენციის სპეციალურ კომიტეტს სულ მცირე ორი თვით ადრე იმ შეხვედრამდე, რომელზეც უნდა მოხდეს აღნიშნულის განხილვა. კონვენციის სპეციალურმა კომიტეტმა მინისტრთა კომიტეტს უნდა წარუდგინოს თავისი მოსაზრება შემოთავაზებულ ცვლილებებთან დაკავშირებით.

3. მინისტრთა კომიტეტი განიხილავს შემოთავაზებას ცვლილებებთან დაკავშირებით და ნებისმიერ მოსაზრებას, რომელიც წარმოდგენილია კონვენციის სპეციალური კომიტეტის მიერ და შესაძლოა მიიღოს ცვლილებები ხმათა უმრავლესობით, ევროპის საბჭოს წესდების მე-20 მუხლის „d“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად.
4. ნებისმიერი ცვლილების ტექსტი, რომელიც მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ, წინამდებარე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თანხმობისთვის უნდა გადაეგზავნოს მხარეებს.
5. ნებისმიერი ცვლილება, რომელიც მიღებულია წინამდებარე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ძალაში უნდა შევიდეს თვის პირველ დღეს, იმ ერთ თვიანი პერიოდის გასვლის შემდეგ, როდესაც ყველა მხარემ წარუდგინა თანხმობა გენერალურ მდივანს თავიანთი შიდსსახელმწიფოებრივი პროცედურების ამოწურვის შემდეგ.
6. თუ ცვლილება მიღებულ იქნა მინისტრთა კომიტეტის მიერ, თუმცა ჯერ კიდევ არ შესულა ძალაში მე-5 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ან ევროკავშირი უფლებამოსილნი არიან არ გამოხატონ თავიანთი თანხმობა კონვენციის სავალდებულო ხასიათის შესახებ, ცვლილებაზე თანხმობის გარეშე.

#### მუხლი 39 - დავების მოგვარება

1. კონვენციის სპეციალური კომიტეტი, ევროპის საბჭოს შესაბამის მთავრობათაშორის კომიტეტებთან მჭიდრო თანამშრომლობით, ინფორმირებული უნდა იყოს წინამდებარე კონვენციის განმარტებასთან ან გამოყენებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სირთულის შესახებ.
2. მხარეთა შორის დავების შემთხვევაში, რომელიც უკავშირდება წინამდებარე კონვენციის განმარტებას ან გამოყენებას, დავები უნდა მოგვარდეს მოლაპარაკების, მორიგების ან არბიტრაჟის წესით, ან მათი არჩევანის თანახმად, ნებისმიერი მშვიდობიანი გზით.
3. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტი უფლებამოსილია განსაზღვროს დავების მოგვარების პროცედურები, რომელიც მხარეთა თანხმობის შემთხვევაში, შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მათ შორის დავების მოსაგვარებლად.

#### მუხლი 40 - დენონსაცია

1. თითოეული მხარე უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს მოახდინოს კონვენციის დენონსაცია, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისთვის შეტყობინების გაგზავნის გზით.
2. აღნიშნული დენონსაცია ძალაში შევა იმ თვის პირველი დღიდან, რომელიც მოსდევს გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღების თარიღიდან სამთვიანი პერიოდის გასვლას.

## მუხლი 41 - შეტყობინება

1. ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა მხარეებს, ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს, ევროპის კულტურული კონვენციის მხარეებს, იმ არაწევრ სახელმწიფოებს, რომლებიც მონაწილეობდნენ წინამდებარე კონვენციის შემუშავებაში, ან წარმოდგენილი იყვნენ ევროპის საბჭოს დამკვირვებლის სტატუსით, ევროკავშირს და სხვა სახელმწიფოს, რომელიც 32-ე მუხლის დებულებების თანახმად მოწვეული იყო წინამდებარე კონვენციის ხელმოსაწერად, უნდა აცნობოს შემდეგი:
  - a. ნებისმიერი ხელმოწერა;
  - b. სარატიფიკაციო სიგელის დეპონირება, მიღება ან დამტკიცება;
  - c. 32-ე მუხლის თანახმად წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღი;
  - d. ნებისმიერი დათქმა და დათქმის გაუქმება 37-ე მუხლის თანახმად;
  - e. ნებისმიერი დეკლარაცია, რომელიც შემუშავებულია მე-9 და მე-13 მუხლების თანახმად;
  - f. ნებისმიერი სხვა აქტი, შეტყობინება ან კომუნიკაცია წინამდებარე კონვენციასთან დაკავშირებით.

რის დასტურადაც, ქვემოთ ხელისმომწერნი, შესაბამისი უფლებამოსილებით აღჭურვილნი აწერენ ხელს ამ კონვენციას.

შესრულებულია \_\_\_\_\_ წლის \_\_\_\_\_, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. კონვენციის ორივე ტექსტი თანაბრად აუთენტურია. შექმნილია თითო ეგზემპლარად, რომელიც უნდა გადაეცეს ევროპის საბჭოს არქივს. ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა უნდა გადასცეს დამოწმებული ასლები ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ სახელმწიფოს, არაწევრ სახელმწიფოს, რომლებიც მონაწილეობდნენ წინამდებარე კონვენციის შემუშავებაში, ან წარმოდგენილი იყვნენ ევროპის საბჭოს დამკვირვებლის სტატუსით, ევროკავშირს და სხვა სახელმწიფოს, რომელიც მოწვეული იყო წინამდებარე კონვენციის ხელმოსაწერად.





საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო  
საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა

თარგმნის ბიურო

სარეგისტრაციო/REGISTRATION № 42228-01

თარიღი/DATE 21-08-2014 წ-ი

დაამტკიცა/CERTIFIED BY თ. თაყაიშვილი

Ministry of Foreign Affairs of Georgia  
TRANSLATION BUREAU  
of International Agreements of Georgia